



SIGMA

Support for Improvement in Governance and Management

A joint initiative of the OECD and the European Union,
principally financed by the EU

კანონშემოქმედება დიდ ბრიტანეთში

სემინარი თემაზე

"განსხვავებული მიდგომები კანონშემოქმედებისადმი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში"

თბილისი საქართველო

14 დეკემბერი 2009

მოსხენება მომზადებულია

ჯ.ნ. ბეთისის მიერ*

*ჯონ ბეთისი ეწევა საკონსულტაციო და აკადემიურ საქმიანობას კანონშემოქმედების საკითხებზე (www.stjohnbatesconsultancy.com).

იგი არის სამართლის მოწვეული პროფესორი, საპარლამენტო და კანონშემოქმედების სწავლებათა ცენტრის დირექტორი შოტლანდიის სტრატკლაიდის უნივერსიტეტში, ლონდონის უმაღლესი სამართლის სწავლებათა ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი, „აისლ ოფ მენის“ საერთაშორისო ბიზნესის სკოლის მოწვეული პროფესორი და „ოქსფორდ უნივერსიტი პრესის“ მიერ გამოცემული ჟურნალის - „კანონმდებლობის მიმოხილვის“ რედაქტორი.

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მასში გამოთქმული აზრები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ მოსაზრებასა და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ან მისი წევრი ქვეყნების ან სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ქვეყნების პოზიციას.

კანონშემოქმედება დიდ ბრიტანეთში

1. რა გამორჩეული თვისებებით ხასიათდება საკანონმდებლო პროცესი?

1.1 შესავალი

საერთო სამართლის იურისდიქციების საკანონმდებლო პროცესები ხასიათდება სამი განმასხვავებელი თვისებით, რაც განსაკუთრებულად ვლინდება კანონპროექტების მომზადებისას.

პირველი განმასხვავებელი თვისება მდგომარეობს პოლიტიკის ფორმირების ფუნქციებსა და პოლიტიკის განმახორციელებელი კანონპროექტების მომზადებაში.

მეორე, არსებობს საკანონმდებლო ტექსტის მისი მიღების პროცესში საკმაოდ დეტალური საპარლამენტო განხილვის ფესვგადგმული ტრადიცია.

მესამე, ყურადღება ექცევა არა მხოლოდ მოქმედ კანონმდებლობას, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებებსაც, როგორც სამართლის მნიშვნელოვან წყაროებს. სასამართლო გადაწყვეტილებები როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა მათგან გამომდინარე აქტებთან ერთად შესაძლებელია წარმოადგენდნენ კანონის მნიშვნელოვან ნაწილსა და საფუძვლებს. სასამართლო გადაწყვეტილებები ხშირად ასევე განსაკუთრებულია, თუმცა არა აუცილებლად ექსკლუზიური¹ კანონმდებლობის განმარტების ზოგადი პრინციპების სამართლებრივი საფუძვლების შექმნის თვლასაზრისით, რადგან ისინი განსაზღვრავენ სპეციფიური საკანონმდებლო დებულებების განმარტების საკითხს.

1.2 პოლიტიკის შემუშავება და კანონპროექტის მომზადება

საერთო სამართლის იურისდიქციის პირობებში პოლიტიკის შემუშავებას მრავალი საერთო გააჩნია კონტინენტური სამართლის იურისდიქციის მსგავს შემთხვევასთან.

სამთავრობო პოლიტიკა, როგორც წესი, ყალიბდება პასუხისმგებელი სამინისტროს ფარგლებში, რომლის საფუძველიც შესაძლებელი იყოს ამ სამინისტროში ან სამინისტროს მიღმა საჯარო ან კერძო სექტორში, ან კიდევ დამოუკიდებლად წარმოებული კვლევისა და ანალიზის შედეგები, რამაც სამინისტროს ყურადღება მიიქცია ან კიდევ შესაძლებელია არსებობდეს სხენებულ მიზეზთა ნებისმიერი შესაძლო კომბინაცია.

თანამედროვე პოლიტიკის ჩამოყალიბების საერთო კანონზომიერებას წარმოადგენს პოლიტიკის პროექტის და მისი განმახორციელებელი კანონმდებლობის ზეგავლენის

¹ საერთო სამართლის იურისდიქციებისათვის დამახასიათებელია კანონის მიღება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს მისი განმარტების შესახებ წესებს: მაგალითისათვის იხ. 1978 წლის კანონი (დიდი ბრიტანეთის) კანონმდებლობის განმარტების შესახებ; ასევე სხვა ნორმატიული აქტებიც მოიცავენ დებულებებს მათი განმარტების წესების შესახებ.

შეფასება. მსგავსი შეფასება მოიცავს არამხოლოდ ხარჯვისა და სარგებლის შესახებ ანალიზს, არამედ პოლიტიკისა და მისი განმახორციელებელი კანონმდებლობის რეგულიაციური ზეგავლენისა და შესაბამისად მისი არაპირდაპირ ეკონომიკური შედეგების შეფასებაც. ზეგავლენის შეფასება იმავროულად მუდმივი პროცესიცაა, რომელიც პოლიტიკის შემმუშავებელს შესაძლებლობას აძლევს სრულად შეაფასოს და გაიაზროს მთავრობის შესაძლო ჩარევის შედეგები და ხერხები, რომლებიც მთავრობას შესაძლებლობას აძლევს მსგავსი ჩარევის შედეგად დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ მოახდინოს მტკიცებულებების წარმოდგენა და შემდგომი შეფასება. შეფასებას შესაძლებელია მიმართონ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისათვის ზეგავლენის მოხდენის მიზნითაც. ამ თვალსაზრისით იგი უნდა განვიხილოთ, როგორც მთავრობაში მუდმივად მიმდინარე პროცესი².

მაგალითი 1: ხარჯვისა და სარგებლის ანალიზი და საფეხბურთო ხულიგნობა
 1998 წლის აქტი ფეხბურთის შესახებ (სამართალდარღვევები და უწესრიგობა) ერთერთი იმ კანონთაგანია, რომლებიც მიზანდ ისახავენ ინგლისსა და უელსში და მათი გუნდების საზღვარგარეთ თამაშისას მხარდამჭერთა მხრიდან საფეხბურთო ხულიგნობის აღკვეთას. კანონის ხარჯისა და სარგებლის ანალიზი შემდეგში მდგომარეობს: (i) დამატებითი, მაგრამ მარგინალური ხარჯი პოლიციისათვის, რომელმაც კანონით დადგენილი ახალი სამართალდარღვევა უნდა გამოიძიოს (მაგრამ მარგინალური ხარჯების უგულებელყოფა აქაც და სხვა შემთხვევებშიც შეჯამებითი ანალიზის სისუსტეს წარმოადგენს); (ii) დამატებითი, მაგრამ მარგინალური ხარჯი პროკურატურისა და სასამართლოებისათვის კანონით დადგენილი ახალი სამართალდარღვევის გამო (თუმცა, არ არის გათვალისწინებული დაცვის ხარჯები, რაც სავარაუდოდ სახელმწიფოს გადახდება); (iii) კანონით გათვალისწინებული დამატებითი ანგარიშგების მოთხოვნები იგივე სახის სამართალდარღვევაზე გადაცდომის ანდა ნასამართლობის ქონის შესახებ მოითხოვს დამატებით ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც 5 ახალი სამსახურებრივი თანამდებობის შექმნას ითვალისწინებს.

ასევე ფართოდაა აღიარებული კონსულტაციის მნიშვნელობა, რომელიც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ზეგავლენის შეფასების კიდევ სხვა ასპექტი. ჩვეულებრივ, კონსულტაცია ხორციელდება ცენტრალიზებულად სტანდარტიზირებული პროცედურის მიხედვით. მაგალითად, შესაძლებელია დადგინდეს კრიტერიუმები კონსულტაციის ფარგლების დასადგენად, მოსაზრებათა წარდგენის რეკომენდირებული განრიგისათვის და მათი განხილვისა და შესაბამისი მოსაზრებების წარდგენისათვის.³ კონსულტაციების საწყისი სტადიები ელექტრონულად ხორციელდება.

მაგალითი 2: დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ადამიანის განყოფიერებისა და

² ზეგავლენის შეფასების მაგალითისათვის იხ. დიდი ბრიტანეთის ზეგავლენის შეფასების შესახებ მითითებები (<http://www.berr.gov.uk/files/file44544.pdf>).
³ მაგალითისათვის იხ. 2008 წლის ივლისში გამოცემული დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ შეცვლილი კონსულტაციების პრაქტიკის შესახებ კოდექსი, მომზადებული გაუმჯობესებული რეგულირების აღმასრულებლის მიერ სამეწარმეო, კორპორაციული და რეგულაციური რეფორმის დეპარტამენტის ფარგლებში (<http://www.berr.gov.uk/files/file47158.pdf>).

ემბრიოლოგიის შესახებ

1978 წელს ინგლისში ინვიტრო განაყოფიერების შედეგად პირველი ბავშვის, ლუის ბრაუნის დაბადების შემდეგ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ შექმნა კომიტეტი მსგავსი შემთხვევების სოციალური, სამართლებრივი და ეთიკური დატვირთვისა და ამასთან დაკავშირებული პროცედურების გამოკვლევის მიზნით, რომლის შესახებ ანგარიში წარმოდგენილ იქნა 1984 წელს. ანგარიშმა თავის მხრივ 1990 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის შესახებ კანონის მიღებას შეუქმნა საფუძველი. 2004 წელს კი, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა მისი ხელახალი გადასინჯვის საჭიროების შესახებ ამ საკითხზე ახალი მეცნიერული მიღწევების გამო. 2005 წელს საკითხის განხილვაში ფართო საზოგადოება ჩაერთო, ხოლო განხილვის შედეგები მთავრობის პოლიტიკის პროექტთან ერთად გამოქვეყნდა 2006 წელს, რასაც საბოლოოდ მოჰყვა 2008 წელს ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონის მიღება.

საერთო სამართლის მრავალი იურისდიქციისათვის დამახასიათებელია მოდელი, რომლის მიხედვითაც მას შემდეგ, რაც სამინისტროს ფარგლებში შემუშავდება პოლიტიკა, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს მის განმახორციელებელ კანონმდებლობას, სამინისტროს იურისტები ამზადებენ მოსამსახურებელი კანონპროექტის დაწვრდებით ინსტრუქციებს იმ იურისტებისათვის, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან კანონპროექტების მომზადებაში მთავრობის ინსტიტუციონალურად განსაზღვრულ ერთეულებში.

იდეალურად მიიჩნევა ინსტრუქციები, რომლებიც მკაფიოდ და დეტალურად ასახავენ პოლიტიკას, რომელიც კანონმდებლობის გზით უნდა განხორციელდეს და პროექტთან კავშირში მყოფ მოქმედ კანონმდებლობასა და ნებისმიერ შესაძლო სასამართლო გადაწყვეტილებას. ინსტრუქციების ხარისხი მნიშვნელოვანი საკითხია ეფექტური კანონპროექტის მომზადების თვალსაზრისით. გარდა ამისა, იშვიათობას არ წარმოადგენს კანონპროექტის შემუშავებელთა მიერ რჩევების დართვა ინსტრუქციების შინაარსის შესახებ.⁴ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ატარებენ ტრენინგებს ინსტრუქციების შემუშავებელი სამინისტროების ადმინისტრატორებისა და იურისტებისათვის.

2. ვინ ამზადებს კანონპროექტს?

2.1 დიდ ბრიტანეთში მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტების⁵ უმრავლესობა მზადდება საპარლამენტო მდივნის სამსახურის მიერ (სმს), რომელიც ფორმალურად მინისტრთა კაბინეტში შედის. სმს ასევე ამზადებს ცვლილებებს მთავრობის სახელით და შემდგომ წარადგენს პარლამენტში. გარდა ამისა, შესაბამისი მითითებების არსებობისას განიხილავს კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც ძირითადი აქტების აღსასრულებლად გამოიცემა, რათა დადგინდეს ამ

⁴ მაგალითისათვის იხ. დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო მდივნის მიერ მომზადებული ნაშრომი „თანამშრომლობა საპარლამენტო მდივანთან“

(http://www.cabinetoffice.gov.uk/media/190079/working_with_pc_guide.pdf)

⁵ რამდენადაც დიდი ბრიტანეთი კვაზი ფედერალური სახელმწიფოა, შოტლანდიის პარლამენტში, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეებში არსებობს მათი კომპეტენციის შესატყვისად კანონპროექტთა მომზადების მსგავსი სამსახურები; ხოლო საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება დიდი ბრიტანეთის პარლამენტის გამგებლობის სფეროს, კანონპროექტებს ამზადებს საპარლამენტო მდივნის სამსახური.

უკანასკნელთან მათი შესაბამისობა. პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განმახორციელებელი კანონპროექტის მომზადების განცალკავება შესაძლებელია გაზვიადებულად მოგვეჩვენოს, რადგან თუნდაც პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე ინსტრუქციების მიღების შემდეგ თანამშრომლობა სმს-ს იურისტებსა და ინსტრუქციების მომამზადებელ სამინისტროს შორის გრძელდება მინისტრთა კაბინეტის კომიტეტის მონაწილეობით, რომელიც დეტალურად განიხილავს კანონპროექტს და შემდგომ მას წარუდგენს პარლამენტს.

2.2 იურისდიქციის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კანონპროექტი მზადდება არა იმ სამინისტროში, სადაც მისი მომზადებისათვის საჭირო ინსტრუქციები შემუშავდა.⁶ ეს გარემოება განსხვავებულია კონტინენტური სამართლის იურისდიქციებისაგან, სადაც წარმომდგენი სამინისტრო იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ ამზადებს კანონპროექტს.

პირველ ყოვლისა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია კანონპროექტის სადი, დამოუკიდებელი შეფასება იურისტების მიერ, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ ჩართულნი სამინისტროს მიერ პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამგვარი შეფასება კი შესაძლებელია მოიცავდეს ტექნიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტას პოლიტიკის ეფექტურად გატარების მიზნით და ასევე, კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებს⁷. ნებისმიერ შემთხვევაში ხსენებული სადი, დამოუკიდებელი შეფასება გამოავლენს კანონპროექტის ნაკლოვანებებს დამატებითი უფლებამოსილებების საჭიროების წამოჭრის თუ განხორციელებისა და აღსრულების საკითხების სიძნელეებთან დაკავშირებით.

მაგალითი 3: ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენა სმს-ს მიერ შეფასების განხორციელებისას
სმს-ს იურისტი წერს:
“90-იან წლებში მე მოვამზადე კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების დამბის ექსპლოატაციის მიზნით გადასახდის შემოღებას. ამ შემთხვევაში სიძნელეს წარმოადგენდა დამბის საშუალებით ნარჩენების დასუფთავების დეფინიციის დადგენა. მომეცა მითითებები გადამეხედა გარკვეული რეგულაციებისათვის, რომლებიც ნარჩენებისაგან გაწმენდის საქმიანობას აწესრიგებდა. ჩემს მიერ მათი შესწავლისას აღმოჩნდა, რომ გამოყენებული იყო ტერმინი „ნაგავსაყრელის გადასახადი“. მე განვაცხადე, რომ ჩვენ ვერ გამოვიყენებდით იგივე ტერმინს, რადგან იგი ასახავდა სწორედ იმას, რის განსაზღვრასაც ვცდილობდით.”

⁶ დიდ ბრიტანეთში მსგავს ექსკლუზიურობასთან დაკავშირებით მცირე გამონაკლისები არსებობს. 90-იან წლებში ჩატარდა ექსპერიმენტი, რომლის მიხედვითაც კანონპროექტების მომზადება კერძო სექტორს დაევადა, რამაც მარცხი განიცადა გამოვლენილი შეცდომებისა და შეუსაბამობების გამო. იხ. ბეთსი, „კონტრაქტი კანონშემოქმედების სფეროში: ბრიტანეთის გამოცდილება.“ [1996] კანონმდებლობის მიმოხილვა 152.

⁷ ეს განმტკიცებულია იმ გარემოებითაც, რომ საპარლამენტო მდივნისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომია საკითხების პრობლემატურობის შესახებ პირადად მოახსენოს პრემიერ-მინისტრს.

მეორეს მხრივ კი, სმს-ს ზომა, საქმიანობის ფორმა და კოლეგიალური ხასიათი ხელს უწყობს კანონპროექტების სტილის ერთგვაროვან ჩამოყალიბებას⁸.

სმს-ს ამჟამად ჰყავს 61 თანამშრომელი, რომელთაგან 85% ჩართულია მთავრობის დაუყოვნებელი საკანონმდებლო პროგრამის მუშაობაში⁹. ჩვეულებრივ, ისინი სამსახურში მიიღებიან კერძო პრაქტიკის რამდენიმე წლიანი გამოცდილების დაგროვების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი მოხელეებისათვის არ არსებობს შესავალი სასწავლო კურსი¹⁰, რის გამოც ისინი ცოდნას „შევირდობის“ სისტემის წყალობით იღრმავებენ. კანონპროექტზე მუშაობა ჩვეულებრივ ორკაციან ჯგუფში მიმდინარეობს, რომელთაგან ერთერთს მეტი გამოცდილება გააჩნია; ისინი არ არიან სპეციალიზირებულნი სამართლის კონკრეტულ სფეროებში. თუმცა, იღებენ შესაბამის ინსტრუქციებს საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სმს-ს საგანგებო სახელმძღვანელო არ გააჩნია, მას ჰყავს კანონპროექტის მომზადების ტექნიკური ჯგუფი, რომელიც დროთა განმავლობაში შეიმუშავებს მრავალ რეკომენდაციასა და შენიშვნებს მოცემულ საკითხზე¹¹.

აღსანიშნავია, რომ მავანნი შენიშნავენ სისტემის ნაკლოვანებებსა და შესაძლო უსარგებლობას. სმს-ს მოხელეები ვალდებულნი არიან სიფრთხილე გამოიჩინონ პოლიტიკის კანონმდებლობის გზით გატარების ალტერნატიული ტექნიკური გზების შეთავაზებისა და პოლიტიკის ცვლილების შეთავაზებას შორის გამიჯვნისას, რაც პრაქტიკაში საკმაოდ რთულია. მეორეს მხრივ, სმს-ს მოხელეები არ არიან ვიწრო სპეციალიზაციის მქონენი სამართლის კონკრეტულ საკითხში და ისინი მხოლოდ კანონპროექტის მომზადების შესახებ იძლევიან მითითებებს. თუმცა, კანონპროექტის მომზადებისას ისინი ახდენენ შესაბამისი სამართლებრივი საკითხების ანალიზს, რაც უმეტესად მაინც გარეშე ინსტრუქციების ხარისხზეა დამოკიდებული.

ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სმს-ს ფუნქცია შემოიფარგლება მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვით. იგი არ ამზადებს პარლამენტარების მიერ ინიცირებულ კანონპროექტებს (თუმცა შესაძლებელია დახმარება გაუწიოს მსგავსი კანონპროექტების შემუშავებაში თუ ეს მთავრობისათვის პოლიტიკურად მისაღებია ან თუ მთავრობის ხელშეწყობით განხორციელდა კანონპროექტის პარლამენტართა მიერ ინიცირება იმის გამო, რომ მთავრობამ ვერ მოაქცია იგი საკუთარი საკანონმდებლო პროგრამის ფარგლებში). დიდი ბრიტანეთის პარლამენტში პარლამენტართა მიერ შემოთავაზებულ კანონპროექტებსა თუ მოქმედი სამთავრობო კანონმდებლობაში ცვლილებების

⁸ მაგალითისათვის, სმს-ს დაამკვიდრა ზედმიწევნით ინგლისური ტრადიცია, შესაძლებლობის შემთხვევაში იურისტები შუადღეს ერთად მიირთვევენ ჩაის!

⁹ ამჟამად 2 მათგანი მუშაობს ინგლისისა და უელსის სამართლის რეფორმის ორგანოში (იურიდიულ კომისიაში), 6 მუშაობს საგადასახადო სამართლის ცვლილების პროექტზე, ხოლო ერთი კი, უელსის ასამბლეაშია წარგზავნილი.

¹⁰ თუმცა იგივე არ ვრცელდება სხვა საერთო სამართლის იურისდიქციებზე; მაგალითისათვის, ირლანდიის შესავალი კურსი კანონშემოქმედათვის.

¹¹ მოცემული რეკომენდაციები იხილეთ სმს-ის ვებგვერდზე (http://www.cabinetoffice.gov.uk/parliamentarycounsel/drafting_techniques.aspx); რადგან დიდ ბრიტანეთში ნორმატიული აქტების მომზადება მკვეთრად დეცენტრალიზებულია, არსებობს შესაბამისი სახელმძღვანელო, „ნორმატიული აქტების მომზადება“, რომელიც შეეხება უფრო ტექნიკურ, ვიდრე სტილისტურ საკითხებს.

შეტანის პროექტებს არ ეწევათ პროფესიული დახმარება პროექტთა მომზადების კუთხით სახელმწიფო დონეზე¹².

სმს არ ამზადებს სპეციფიური მნიშვნელობის მქონე კანონპროექტებს (ე.წ. „კერძო კანონპროექტებს“), რომელთაც როგორც წესი, ამზადებენ კერძო პრაქტიკის მქონე იურისტები.

სმს ასევე არ ამზადებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც კონტინენტური სამართლის იურისდიქციების მსგავსად დაინტერესებული სამინისტროს იურისტების მიერ ხორციელდება, რომლებიც არ არიან კონკრეტულად პროექტზე მუშაობის სპეციალისტები და მსგავსი საქმიანობის წარმართვა მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში უწევთ.

3. როგორ მიიღწევა ერთგვაროვნება კანონშემოქმედების პროცესში?

3.1 შესავალი

კანონპროექტის მომზადებისას განისაზღვრება სამართლებრივი მიზნები და დეტალურად და მკაფიოდ დგინდება უფლებები და მოვალეობები, რომლითაც უზრუნველყოფილია იერარქიულად მაღლამდგომ დებულებებთან შესაბამისობა და ამასთანავე, არსებობს ერთგვაროვანი კავშირი კანონის მოქმედ დებულებებთან.

ხსენებული მიზანი უკეთ მიიღწევა, როდესაც არსებობს კანონშემოქმედების ავტორიტეტული სახელმძღვანელო, რაც პროექტზე მომუშავეს შესაძლებლობას აძლევს შეარჩიოს მისთვის მისაღები ფორმა და სტილი.

3.2 კანონმდებლობის მკაფიო და ერთგვაროვანი ფორმულირების მაგალითები

როგორც საერთო, ისე კონტინენტური სამართლის იურისდიქციებში აღიარებულია, რომ კანონმდებლობის სიცხადისათვის აუცილებელია გამოყენებულ იქნას თანამედროვე ლექსიკა გრამატიკული წესების დაცვით. ასევე, აღიარებულია ის გარემოებაც, რომ სიცხადეს ხელს უწყობს კანონმდებლობის ერთგვაროვანი სტრუქტურის ჩამოყალიბება. გარდა მსგავსი საკითხებისა, შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული პროექტის სტილისტური თვალსაზრისითაც. თუმცა წინამდებარე მოხსენების მიზანს არ შეადგენს პროექტის მომზადების სტილის განხილვა საერთო სამართლის კონტექსტში, მაინც საინტერესოა რამოდენიმე მაგალითის მიმოხილვა.¹³

საერთო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა ხდება ადრესადიტის მიმართ ერთგვარი ბრძანების ფორმით და არა განცხადებისა თუ ზოგადი პრინციპის შემუშავების მეშვეობით.

<p><i>მაგალითი 4</i></p> <p>“პირს ეკისრება პასუხისმგებლობა ძაღლის პარკში შეყვანისათვის”</p>

¹² იგივე ყოველთვის არ ვრცელდება საერთო სამართლის იურისდიქციებში; მაგალითად, შოტლანდიის პარლამენტს გააჩნია კანონპროექტის მომზადების დამხმარე სამსახური, ხოლო კანადის პარლამენტს ჰყავს კანონპროექტის მომზადების სპეციალისტები.

¹³ ამ საკითხის უფრო დეტალურად შესასწავლად იხილეთ მოხსენებაზე დართული ბიბლიოგრაფიაში მითითებული მასალები.

და არა
“ძაღლები არ დაიშვებიან პარკში”
[დეკლარაცია]
ან
“ძაღლის პარკში შესვლა სამართალდარღვევაა”
[დებულება ადრესატის გარეშე]

საერთო სამართლის პრაქტიკის მიხედვით პრიორიტეტულია პირდაპირი და პოზიტიური სტილი. გამოიყენება აწეო დრო, რაც დებულებას ოპერატიულ ასპექტს სძენს. ჩვეულებრივ, მიმართავენ თხრობით კილოს (და არა იმპერატიულს) და მოქმედებით გვარს (და არა ვნებითს).

მაგალითი 5

“პირს, რომელსაც ჰყავს შვილი უფლება აქვს...”
და არა
“პირს, რომელსაც არ ჰყავს შვილი არ შეიძლება უფლება ჰქონდეს...”

“ნასამართლობის მქონე პირს უფლება არ აქვს...”

“პირს უფლება არ აქვს...”
და არა
“არცერთ პირს არ აქვს უფლება...”

“კომისია უფლებამოსილია დანიშნოს ყოველი დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი.”
და არა
“ყოველი დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი უნდა დაინიშნოს კომისიის მიერ.”

“პირი უფლებამოსილია მიმართოს...”
და არა
“პირს შეუძლია განაცხადი გააკეთოს...”

საერთო სამართალში დამკვიდრებული პრაქტიკა ემხრობა ერთ წინადადებაში აზრის მოქცევას ვიდრე დებულების დანაწევრებას.

პრაქტიკამ გამოიმუშავა „თხრობითი“ სტილი (თუ ეს არ დაბადებს გაუგებრობას), რომელშიაც ერთხელ ხსენებული X-ზე შემდგომი მითითება გულისხმობს მის ანალოგიურ შინაარსს ტექსტის შემდგომი წაკითხვისას.

მაგალითი 6

(1) პირი უფლებამოსილია ლიცენზიის მისაღებად მიმართოს სამინისტროს.
(2) გარდა მე-3 ნაწილში გათვალისწინებული შემთხვევისა, განაცხადის სამი ასლი უნდა იქნას წარმოდგენილი.
(3) 21 წლამდე ასაკის პირმა უნდა წარმოადგინოს განაცხადის ოთხი ასლი.

და არა

(1) პირი უფლებამოსილია ლიცენზიის მისაღებად მიმართოს სამინისტროს.

- (2) გარდა მე-3 ნაწილში გათვალისწინებული შემთხვევისა, განცხადების წარმომდგენმა პირმა განცხადება სამ ასლად უნდა წარმოადგინოს.
- (3) განცხადების წარმომდგენმა 21 წლამდე ასაკის პირმა განაცხადი უნდა წარმოადგინოს ოთხ ასლად.

4. როგორ ხორციელდება კანონმდებლობის ხარისხის უზრუნველყოფა?

ისტორიული და კონსტიტუციური საფუძვლებიდან გამომდინარე მრავალ საერთო სამართლის ქვეყანაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც მიანიშნებს ძირითადი კანონმდებლობის უფრო დეტალურად შემუშავების სტილზე, რაც თავისთავად არ არის ჩვეულებრივი მოვლენა კონტინენტური სამართლის ქვეყნებისათვის. ამგვარი სხვაობა რიგი ფაქტორებით აიხსნება, რომელთაგან ერთერთია დამკვიდრებული საპარლამენტო ტრადიცია, რაც კანონპროექტის ტექსტის დეტალურ განხილვას გულისხმობს. მეორე ფაქტორია სასამართლოების მიერ კანონმდებლობის ტექსტუალური და არა ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე დებულების მიზნის მიხედვით განმარტების პრაქტიკა.

ორივე სისტემის პირობებში პარლამენტიცა და სასამართლოებიც უნდა განვიხილოთ, როგორ კანონმდებლობის ხარისხის ინსტიტუციონალური შემოწმების განმახორციელებელი. რადგან კანონპროექტებს ამზადებენ დამოუკიდებელი სპეციალისტებისაგან შემდგარი სამსახურები, ამიტომ ისინი მონდომებით ეკიდებიან თვითრეგულირების საკითხებს კანონმდებლობის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტილის დაცულობის კუთხით. გარდა ამისა, საერთო სამართლის მრავალ ქვეყანაში (მაგრამ არა დიდ ბრიტანეთში) ინსტიტუციონალური მნიშვნელობის გადაწყვეტილებები იქნა მიღებული თანამდეროვე და გასაგები ენის გამოყენების თაობაზე კანონმდებლობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

5. შესატყვისობა ევროპულ *acquis*-თან?

5.1 შესავალი

წევრი სახელმწიფოს მიერ თანამეგობრობის სამართლის მოთხოვნების

შეუსრულებლობა შესაბამის რეაგირებას იწვევს. დირექტივების ასახვის კონტექსტში შემდეგი მაგალითებია თვალსაჩინო: (i) დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში არასახვა ანდა არაჯეროვნად ასახვა გარკვეული დროის შემდეგ იწვევს ევროკომისიის მიერ ევროსასამართლოში წვერი ქვეყნის მიმართ საქმის აღძვრას¹⁴; (ii) დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში არასახვა ანდა არაჯეროვნად ასახვა იწვევს დირექტივის დებულებათა პირდაპირ ამოქმედებას ზედმიწევნით ზუსტად და უპირობოდ მათი განხორციელების ღონისძიებათა გამოყენებისაგან დამოუკიდებლად¹⁵; (iii) პირი უფლებამოსილია „სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანოს“ წინააღმდეგ იდაოს პირდაპირი მოქმედების დებულებების საფუძველზე¹⁶; (iv) სახელმწიფოს მიერ თანამეგობრობის სამართლის დარღვევისათვის ეროვნული სასამართლოები უფლებამოსილნი არიან ზიანის ანაზღაურება დააკისრონ სახელმწიფოს კერძო პირის სასარგებლოდ¹⁷; (v) თანამეგობრობის კანონმდებლობის მიხედვით ეროვნულ სასამართლოებს აკისრიათ ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობა განმარტონ დირექტივასთან შესაბამისობაში (მიუხედავად იმისა იგი უკვე იქნა ასახული, თუ არა)¹⁸; (vi) თანამეგობრობის კანონმდებლობის მიხედვით ეროვნულ სასამართლოებს აკისრიათ ვალდებულება გარკვეულ შემთხვევებში აამოქმედონ ეროვნულ დონეზე არსებული ღონისძიებები თანამეგობრობის ვალდებულებათა შესრულების მიზნით¹⁹.

კანონპროექტის მომზადების კუთხით დირექტივის არასწორად ასახვა გამოიწვევს შემდეგ შედეგებს: ა) კანონპროექტზე მომუშავე პირი კონტროლს კარგავს ტექსტზე რადგან დირექტივის ტექსტი უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო სასამართლოები მიმართავენ ტექსტის დისკრეციულ განმარტებას; ხოლო ბ) სახელმწიფო და მისი ორგანოები გარკვეულწილად დაკარგავენ სასამართლო და რეგულაციურ კონტროლს.

5.2 დირექტივების ასახვა: ევროკავშირის განზომილება

ევროკავშირის სამართალი ფართო დისკრეციას ანიჭებს მისი ასახვის საშუალებების შერჩევის საკითხში. თუმცა, არსებობს ევროსასამართლოს მიერ დადგენილი რიგი შეზღუდვები გამოყენებული მექანიზმების შინაარსთან დაკავშირებით. არასავალდებულო სამართლებრივ ნორმებზე მიმართება იწვევს კონფლიქტს

¹⁴ ევროპული თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულება, მუხლი. 226

¹⁵ საქმე 41/74 ვან დიუნი შიდა სამსახურის წინააღმდეგ [1974] ECR 1337; საქმე 148/78 რატი [1979] ECR 1629

¹⁶ საქმე C-188/89 ფოსტერი ბრიტანული გაზის წინააღმდეგ [1990] ECR I-3313, para 20); საქმე 8/81 ბეკერი [1982] ECR 53]

¹⁷ თუ (i) დირექტივის დებულება ინდივიდს ანიჭებს უფლებას (თუნდაც პირდაპირი შედეგის მითითების გარეშე); (ii) არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სახელმწიფოს თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევასა და ინდივიდისათვის მიყენებულ ზიანს შორის და (iii) დარღვევა “სერიოზულია”: საქმეები C-6&9/90 ფრანკოვიჩი [1991] ECR I-5357; საქმეები C-46/93 ბრასერი დიუ პეზო & C-48/93 ფაქტორთეიმი III [1996] ECR I-1029

¹⁸ საქმე C-106/89 მარლისინგი [1990] I-4135

¹⁹ ითვალისწინებს ღონისძიებას (i) თანამეგობრობის სამართლის დარღვევის დაუშვებლობა, (ii) დისკრიმინაციის დაუშვებლობა ეროვნული და თანამეგობრობის სამართლის დარღვევის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მიმართ, (iii) თანამეგობრობის სამართლის დარღვევის პროპორციული (iv) ეფექტურია (მათ შორის თანამეგობრობის სამართლის დარღვევის აღკვეთის საკითხშიც): საქმე 33/76 რევე-ცენტრალფინანცი [1976] ECR 1989; საქმე 8/77 საგულო [1977] ECR 1495; საქმე 158/80 რევე-ჰანდლესგეხელშაფთ ნორდი [1981] ECR 1805; საქმე 14/83 ვონ კოლსონ [1984] ECR 1891.

დირექტივის სავალდებულო სამართლებრივ ბუნებასთან. ასახვის ღონისძიებები სავალდებულო ხასიათს ატარებს ინდივიდების მიმართაც. ეს პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ იურისდიქციებში, რომლებიც არასამართლებრივი ხასიათის სავალდებულო ღონისძიებებს მიმართავენ სოციალური შინაარსის პოლიტიკის განხორციელების მიზნით²⁰.

ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნული ამსახველი კანონმდებლობა ესწრაფვის დაადგინოს უფრო მკაცრი რეჟიმი, ვიდრე ეს დირექტივაშია გათვალისწინებული, რაც თავის მხრივ დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დირექტივა შეიცავს „მინიმალური მოთხოვნების შესახებ დებულებას.“ თუმცა, ზოგიერთი დირექტივა სპეციფიურად არ უშვებს დადგენილი რეჟიმიდან გადახვევას, რის გამოც ეროვნულ კანონმდებლობაში ვეღარ შემუშავდება ალტერნატიული რეჟიმი (როგორც უფრო მკაცრი, ისე სხვაგვარი). პრობლემა მეტად დელიკატურ სახეს იძენს, როდესაც დირექტივა ხსენებულ საკითხზე დუმს; ამ შემთხვევაში მისი ასახვა ხდება უფრო მკაცრი რეჟიმის პირობებში. ეროვნული კანონმდებლობა არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ევროკავშირის სამართალთან თუ სამართლის პრინციპებთან. ერთერთ საკითხს წარმოადგენს სანქციების ფორმის დადგენა, რომელთაც, როგორც წესი, დირექტივები წვერი სახელმწიფოს დისკრეციას განაკუთვნიებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი არც კი განსაზღვრავენ დირექტივის ამსახველი ეროვნული კანონმდებლობის დარღვევისათვის უნდა დადგეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობის სახის შერჩევა ხშირად ქმნის სიძნელეებს, რადგან წვერ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ასახვის აბსოლუტური დისკრეცია. ამგვარად, შერჩეული ეროვნული პასუხისმგებლობის ფორმა ეფექტური უნდა აღმოჩნდეს დირექტივის მიზნების უზრუნველსაყოფად, რაც სირთულეს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტივა ისეთ დაუზუსტებელ ტერმინებს იყენებს, როგორებიცაა „დექლარირებული სანქციები“ ან „საკმარისი სანქციები“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ასახვამ არ უნდა გამოიწვიოს დისკრიმინაციული მიდგომა დირექტივის შესრულების ღონისძიებებისა და მათთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სანქციების მიმართ. თავად „დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა“ წარმოადგენს დაუზუსტებელ ტერმინს.

ზოგიერთი რეგულაცია და დირექტივა წვერი ქვეყნებისაგან მოითხოვს კომისიისადმი ანგარიშგებას ევროკავშირის კანონმდებლობის გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რისთვისაც შესაძლებელია საჭირო გახდეს ინფორმაციის მოძიება ამსახველი ეროვნული კანონმდებლობის შესახებ. ამ მიზნით ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა შესაძლებელია დადგენს ამსახველი კანონმდებლობის არსებითი შედეგების დადგომიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

5.3 ინსტიტუციონალური კონტროლი: დიდი ბრიტანეთის განზომილება

იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს თანამეგობრობის სამართლის ხელყოფას როგორც მისი ასახვის, ისე სხვა კონტექსტში, დიდმა ბრიტანეთმა დაადგინა რიგი დებულებანი, რომლებიც ახდენენ ინსტიტუტების კომპეტენციის შეზღუდვას (როგორც შოტლანდიის პარლამენტის საკანონმდებლო კომპეტენციის შეზღუდვის შესახებ მე-7 მაგალითშია აღწერილი) ან სახელმწიფოებს უფლებას ანიჭებენ

²⁰ მაგალითისათვის იხ. საქმე 143/83, კომისია დანიის სამეფოს წინააღმდეგ [1985] ECR 427

წარმართონ ინსტიტუტების საქმიანობა თანამეგობრობის სამართლის შესაბამისად (როგორც ფინანსური სამსახურის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ მე-8 მაგალითშია აღწერილი).

მაგალითი 7: შეზღუდული საკანონმდებლო უფლებამოსილება

შოტლანდიის აქტი 1998 ს. 35

ზოგიერთ შემთხვევებში ჩარევის უფლებამოსილება

- (1) თუ კანონპროექტი მოიცავს დებულებებს,--
 - (ა) რომელთაც სახელმწიფო მდივანი გონივრული საფუძვლებით მიიჩნევს შეუსაბამოდ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან ან ეროვნული უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებთან, ან იგი გამოსცემს ბრძანებას, რომელიც უკრძალავს საამისოდ უფლებამოსილ მოხელეს კანონპროექტი წარადგინოს სამეფო თანხმობის მისაღებად.
- (2) ბრძანებაში მოხსენიებული უნდა იქნას კანონპროექტი, სადაო დებულებები და ბრძანების გამოცემის დასაბუთება.
- (3) ბრძანება შესაძლებელია გამოიცეს ნებისმიერ დროს – კანონპროექტის წარმოდგენიდან ოთხი კვირის განმავლობაში

მაგალითი 8: უფლებამოსილება მოქმედების ან უმოქმედობის ბრძანების შესახებ

კანონი ფინანსური სამსახურებისა და ბაზრის შესახებ 2000 ს. 410

- (1) თუ საზინა მიიჩნევს, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება [ფინანსური სამსახურის მიერ] შეუსაბამოა დიდი ბრიტანეთის მიერ თანამეგობრობის წინაშე ნაკისრ ან სხვა ნებისმიერ საერთაშორისო ვალდებულებებთან, იგი უფლებამოსილია [ფინანსური სამსახურის მიმართ] გამოსცეს ბრძანება ამგვარი საქმიანობის აკრძავლის შესახებ.
- (2) თუ საზინა მიიჩნევს, რომ რაიმე საქმიანობის განხორციელება [ფინანსური სამსახურის მიერ] მისი უფლებამოსილების ფარგლებში აუცილებელია რომელიმე ვალდებულების შესასრულებლად, [სამსახურის მიმართ] გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი მოქმედების შესარულებლად.

5.4 ევროკავშირის კანონმდებლობის ასახვა: დიდი ბრიტანეთის განზომილება

ქვემოთ აღწერილია დიდი ბრიტანეთის გამოცდილება ევროკავშირის კანონმდებლობის ასახვასთან დაკავშირებით.

5.4.1 რეგულაციების ასახვა

რეგულაციები პირდაპირ მოქმედებს, რის გამოც წევრი ქვეყნები არ საჭიროებენ მათი ასახვისათვის რიგი ღონისძიებების გატარებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასახვაზე პასუხისმგებელი ორგანოების მითითება ან მათი შექმნაა საჭირო.

სახელმწიფოები კარგად იცნობენ რეგულაციების ასახვის ტექნიკურ მხარეს, რადგან ისინი უამისოდ პირდაპირ ვერ შეძლებენ ამოქმედებას.

5.4.2 დირექტივების ასახვა

დიდი ბრიტანეთის გამოცდილების მიხედვით კანონშემოქმედმა მოელ რიგ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება.

როგორია დირექტივაში მოცემული ვალდებულების ბუნება?

მაგალითისათვის, მოითხოვს დირექტივა საგნაგებო რეჟიმს, აბსოლუტური ან მინიმალური სტანდარტების დადგენას?

რა უნდა იქნას გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობის ტექსტში?

აქ თავს იჩენს კიდევ სხვა კითხვები: მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის ტექსტი ითვალისწინებს რეგულაციურ დანაწესს? დირექტივის ასახვა მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობის ტექსტის რესტრუქტურირებას ან მისი საგნის შეცვლას? არსებობს კონსოლიდაციის შესაძლებლობა? არსებობს მიზეზები დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების გადამატებით ასახვისათვის?

მაგალითი 9: არ არსებობს ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის საჭიროება

1993 წლის, s. 19, სუფთა ჰაერის შესახებ კანონით სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება კონსულტაციების შემდეგ ადგილობრივი მთავრობებისაგან მოითხოვოს მოწვევის საკონტროლო ზონების დადგენა. დებულება იმთავითვე საკმარისად იქნა მიზნული ევროკავშირის დირექტივით დადგენილი ჰაერის ხარისხის უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, შესაძლებელია საჭირო არ გახდეს აღმსარებელი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება რადგან დირექტივის განმარტება ზედმიწევნით მართებულად განხორციელდეს (საკითხი წარმოიშვა საქმეში რ სახელმწიფო მდივნის წინააღმდეგ [1994] 4 All ER 352)

მაგალითი 10: მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის საგნის შეცვლა

83/264/EEC დირექტივამ საშიში ნივთიერებების შესახებ დააწესა შეზღუდვა გარკვეული ნივთიერებების რეკლამირებისა და გამოყენებისათვის; თუმცა დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით რეგულირებას დაექვემდებარა მხოლოდ ამ ნივთიერებათა მიწოდების კონტროლი.

როგორ უნდა იქნას დირექტივა დაკავშირებული მის ამსახველ კანონმდებლობასთან?

ამისათვის შესაძლებელია აუცილებელი გახდეს კანონმდებლობით დადგენა იმისა, რომ დირექტივის ასახვას ახდენს ეროვნული დებულება და მოცემული იქნას საგნაგებო ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ ეროვნული კანონმდებლობა განმარტებული უნდა იქნას დირექტივის გათვალისწინებით (ასევე, ევროსასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილების შესაბამისად დირექტივის განმარტების საკითხში). თუმცა, გასათვალისწინებელია ევროკავშირის შეხედულება (რაც საკმაოდ გაუგებარია) იმის შესახებ, რომ ეროვნული ამსახველი კანონმდებლობა არ უნდა ეყრდნობოდეს თანამეგობრობის სხვა ნორმატიულ აქტებს,

რაც შესაძლებელია წარმოადგენდეს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის პრობლემას, თუ თვით დირექტივის ტექსტი მიუთითებს თანამეგობრობის სხვა აქტებზე.

მაგალითი 11: განცხადება იმის შესახებ, რომ დებულება დირექტივის და ა.შ. განხორციელებას ემსახურება

კანონი მომხმარებელთა დაცვის შესახებ 1987 წ. 1(1)

მოცემული დებულება საჭიროების შემთხვევაში სრულად შეესაბამება პროდუქციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ დირექტივას [როგორც კანონმდებლობაში მოიხსენიება] და მის შესაბამისად უნდა იქნას განმარტებული.

დირექტივების ასახვისათვის რა სახის ზოგადი კანონშემოქმედებითი მიდგომა შეიძლება არსებობდეს?

დიდი ბრიტანეთის პრაქტიკის მიხედვით დირექტივების ასახვა ხორციელდება ისე, რომ (i) თანამეგობრობის ვალდებულებათა შესრულება მიიღწევა ეროვნულ სამართალზე მინიმალური უარყოფითი გავლენის მოხდენით, (ii) შესატყვისი და განჭვრეტადია, რაც გამოძევენებს შესაძლებლობას აძლევს იმთავითვე გარკვეული იყოს სამართლებრივ პოზიციაში, (iii) პროპორციულია, რადგან ღონისძიებები მიმართულია რისკების აღმოფხვრისაკენ (iv) შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობის სტილს.

ამგვარი მიდგომის შემუშავებისას დიდი ბრიტანეთის კანონშემოქმედნი ითვალისწინებენ თანამეგობრობის სამართლის შესაბამის ზოგად პრინციპებს: (i) ევროკავშირის სამართლის უზენაესობა; (ii) პირდაპირი მოქმედების პრინციპი; (iii) ადამიანის უფლებათა სამართალი; (iv) ურთიერთალიარების პრინციპი; (v) ევროკავშირის სამართლის სრული მოქმედების პრინციპი; (vi) ინდივიდის ეფექტური დაცვა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა; (vii) პროპორციულობა და (viii) ეფექტურობა.

რა ზომით არის დირექტივის ასახვა შესაძლებელი „კოპირების“ ხერხის გამოყენებით?

ეს უკანასკნელი გახლავთ წინა საკითხის ქვესაკითხი. „კოპირების“ ხერხი გულისხმობს დირექტივის ასახვას მასში გამოყენებული ტერმინების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მის დამაკმაყოფილებლად ასახვას. თუმცა, მას გააჩნია ნაკლოვანება, რადგან შესაძლებელია დირექტივაში გამოყენებული ტერმინოლოგია არ იყოს საკმარისად გასაგები და არ შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობის სტილს.

ხსენებული ილუსტრირდება დირექტივის დეფინიციათა განხილვისას, რაც შესაძლებელია პირდაპირ აისახოს ანდა არსებობდეს ეროვნული დონის დეფინიცია საგანგებო მითითებით, რომლის მიხედვითაც განმარტებისას წამოჭრილი გაურკვევლობის შემთხვევაში, სასამართლოებმა უნდა მიმართონ დირექტივაში გამოყენებულ დეფინიციას, ანდა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეროვნული დეფინიცია და სასამართლოების გადასაწყვეტი გახდეს განმარტებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა (თავიანთი დისკრეციის ფარგლებში, მხოლოდ

თანამეგობრობის სამართლის შესაბამისად). 382/92 საქმეში კომისია დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ [1994] ECR 2479 განცხადებულია, რომ დირექტივის მართებულად ასახვის უზრუნველყოფისა და მისგან გადახვევების თავიდან აცილების ყველაზე უსაფრთხო გზაა სიტყვასიტყვით იქნას დაცული დირექტივა მისი ტერმინოლოგიის ზედმიწევნით გამოყენებით.

მაგალითი 12: „კოპირების” ტექნიკის გამოყენების სირთულეები
(დიდი ბრიტანეთის) სარეცხი საშუალებების (შემადგენლობის) შესახებ 1978 წლის კანონი, რომელიც გამოცია 73/404/ EC დირექტივის აღსრულების მიზნით ადგენს „სარეცხი საშუალების” ცნებას. თუმცა, იგივე რეგულაცია მისივე მიზნებისათვის რაიმე სუბსტანციის სარეცხი საშუალებად მიჩნევისათვის მიუთითებდა დირექტივით დადგენილ დეფინიციასზე.
დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო კომიტეტმა გააკრიტიკა მსგავსი ტექნიკა, რომელიც გაუგებრობას უფრო ბადებდა ვიდრე დეფინიციის უკეთ გარკვევას უწყობდა ხელს.

ბიბლიოგრაფია

დენიელ გრინბერგი, *მოდერნობა კანონმდებლობის შესახებ* (IX გამოცემა) („სვითი & მასსველი, ლონდონი:2008), თავი VIII
გ.ს თორნთონი, *კანონპროექტის მომზადება* (IV გამოცემა) (ბუთერვორთსი, ლონდონი:1996)

© შპს ბეთისის კომპანია